ჯანმრთელობას იკაჟებენ

კალინინის სახელობის რაიონის სამინისტროებისა და კომიტეტების თანამშრომლები

სურათებზე: სპარტაკიადის გახსნა; ასპარეზობენ განათლების სამინისტროსა და საშენ მასალათა სამინისტროს ფეხბურთელები (მარცხნივ); კავშირგაბმულობისა და ფინანსთა სამინისტროს ფეხბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ა. კოტორაშვილისა და ა. ვაჩიანის ფოტოები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 51 (7112)

16 მარტი, 1982 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

◆

უჩვეულო გამოცოცხლება იგრძნობა ამ დღეებში თბილისის კიროვის სახელობის პარკში. 13 მარტს აქ საზეიმოდ გაიხსნა კალინინის რაიონში განლაგებული სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების პირველი სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს.

პარკის სპორტული კომპლექსის ტრიბუნები სავსეა ხალხით. საზეიმო მარშის ხმაზე დარბაზში შემოდიან განათლების, საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, დამზადების, კავშირგაბმულობის, მსუბუქი მრეწველობის, ვაჭრობის, ფინანსთა, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, ხორცისა და რძის მრეწველობის, კომუნალური მეურნეობისა და სხვა სამინისტროების, აგრეთვე რესპუბლიკური ბანკის, ცეკავშირისა და საგეგმო კომიტეტის ფიზკულტურელები.

იწყება ასპარეზობა — ერთმანეთის პირისპირ დგებიან კავშირგაბმულობის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს ფეხბურთელები.

— მშვენიერ ტრადიციას ეყრება საფუძველი, — გვეუბნება ფინანსთა სამინისტროს მშენებლობის დაფინანსების სამმართველოს უფროსი ეკონომისტი, სპორტის ოსტატი ხელბურთში **დავით რუხაძე**. — იგი ხელს შეუწყობს რაიონის წარმოება-დაწესებულებების თანამშრომელთა დაახლოება-დამეგობრებას. სასურველია, რომ ასეთი ღონისძიებები ყველა რაიონში სისტემატურად ტარდებოდეს, რადგან უპირველესად იგი მაინც ჯანმრთელობის საფუძველია.

— ჩვენი სამინისტრო დიდი კმაყოფილებით შეხვდა რაიკომის შესანიშნავ ინიციატივას, — განაგრძობს საუბარს განათლების სამინისტროს პარტბიუროს მდივანი, სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი **ნაზი ღლონტი**. — სპარტაკიადის გახსნის წინა დღეს სამინისტროში სპეციალური თათბირიც ჩატარდა ასპარეზობის მონაწილეთათვის. ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია როგორც ახალგაზრდებით, ასევე საშუალო ასაკის სპორტსმენებით. ფეხბურთელთა გუნდში ითამაშებს ჩვენი აპარატის საგეგმო-საფინანსო სამმართველოს უფროსი ომარ კერესელიძე, ხოლო გუნდის კაპიტანია სკოლა-ინტერნატების სამმართველოს უფროსი ჰამლეტ თუთბერიძე. ფრენბურთელთა გუნდის თავი კი გახლავთ სკოლების სამმართველოს უფროსი კობა სუჯაშვილი. ჭადრაკს სხვებთან ერთად ვითამაშებთ მშენებლობის სამმართველოს უფროსი ბორის აფხაზავა და მე. ამგვარ შეჯიბრებაში მონაწილეობა ყველასათვის სასარგებლოა, მაგრამ ისიც კარგად გვესმის, რომ მას განსაკუთრებული სერიოზულობით უნდა მოვეკიდოთ განათლების დარგის მუშაკები, რადგან ჩვენ ვზრდით მომავალ თაობას და მათთვის ყოველმხრივ მისაბაძნი უნდა ვიყოთ. ამ ორიოდე თვის წინ ჩვენთან მოეწყო მშთ ნორმატივების ჩაბარება, რომელშიც სამინისტროს თითქმის ყველა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა. ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოვუშვით სპეციალური კედლის გაზეთიც.

სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების სპარტაკიადის პროგრამა ითვალისწინებს შეჯიბრებას ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში. როგორც ნაზი ღლონტმა გვითხრა, განათლების სამინისტროს თანამშრომლები ყველა ამ სახეობაში იასპარეზებენ და წარმატების იმედიც აქვთ.

...ამასობაში დამთავრდა ფეხბურთელთა შეხვედრა. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებმა.

სპარტაკიადა მარტის ბოლომდე გასტანს.

ნ. ჯოხარიძე.

კომუნისტები — თავიანთ ორგანიზაციებში

მთავარი დასაყრდენი

ქართველ სპორტსმენთა მნიშვნელოვანი წარმატებები უკავშირდებოდა თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონს. თავად განსაჯეთ, ოციან წლებში „დინამოს" სტადიონზე, რომელიც პლეხანოვის პროსპექტზე მდებარეობდა, დაოსტატდა ტყავის ბურთის ოსტატთა ომამდელი თაობა. აქვე, ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში იზრდებოდნენ ტანვარჯიშული იარაღების ჯადოქრები — გ. რცხილაძე, ა. ჯორჯაძე, ნ. მეიფარიანი, კ. ზაალიშვილი და ბევრი სხვა. ოდნავ მოშორებით — ორჯონიკიძისა და კლდიაშვილის კუთხის „პლაცზე" დასდევდნენ ბურთს ტსპო-ს, მომავალი „ლოკომოტივის" ფეხბურთელები. აქვე იყო „პეტრეს დარბაზად" წოდებული საჭიდაო, რომელმაც მოგვცა ხალიჩის ოსტატთა შესანიშნავი პლეადა: დ. ციმაკურიძე, ვ. ბალავაძე, გ. კარტოზია, მ. ცალქალამანიძე, გ. სხირტლაძე, ა. ქორიძე და მრავალი სხვა. არაფერს ვამბობთ თვით „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე, რომლის მძლეოსნურ ბილიკებზე იწვრთნებოდნენ ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, რ. შავლაყაძე, ვ. სანეევი, ნ. დუმბაძე, ლ. სანაძე, ერთი სიტყვით, ამ რაიონს მართლაც მდიდარი სპორტული ტრადიციები აქვს.

ყოველივე ამის შესახებ ამ დღეებში იქნება ლაპარაკი რაიონის პარტაქტივის კრებაზე, რომელიც მიეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის ცნობილ დადგენილებას მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ.

შეკრებაზე სხვა საკითხთა შორის იმსჯელებენ სპორტული ბაზების უკეთ გამოყენებაზე, ჯანმრთელი მოზარდი თაობის აღზრდის საშუალებებსა და ფორმებზე, მოსწავლის თავისუფალი დროის პრობლემაზე. ამ საკითხთა პრაქტიკულ გადაწყვეტაში დიდია სწორედ სპორტული ბაზების როლი. აქ კი ყველასაგან გამორჩეული „დინამოს" სპორტკომბინატი. ჯანმრთელობის ამ კერის ადმინისტრაცია და მისი პარტიული ბირთვი კვლავაც ფიზკულტურულ და სპორტული მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა და ყურადსაღები წამოწყებათა ინიციატორი გახლავთ.

„დინამოს" სტადიონი — დედაქალაქის ეს სპორტული მექა — მოსახლეობის ფართო მასების გაჯანსაღებასაც კეთილსინდისიერად ემსახურება. ჯერ მარტო შარშან მის ბაზებზე 716654 — ე. ი. ყოველდღიურად 2,5 ათასი კაცი ვარჯიშობდა. ეს ციფრი სპორტის 14 სახეობაზე ნაწილდება, გარდა ამისა, აქვე გახსნილია გამაჯანსაღებელი ჯგუფები: — ცურვის 42, რბენის მოყვარულთა — 2, ჩოგბურთის — 4, საერთო ფიზიკური მომზადებისა — 4. ამ ჯგუფებში 914 ფიზკულტურელია გაერთიანებული.

საყურადღებოა სპორტკომბინატის პარტორგანიზაციის, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს, ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოსა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტის კიდევ ერთი კარგი წამოწყება: ბოლო წლებში ტარდება ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა საქალაქო სპარტაკიადები მინი-ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, ველოსპორტსა და მშთ-ს კომპლექსის მრავალჭიდში. ამ სტარტებშიც ასობით მონაწილეთაგან გამორჩეულნი სპორტულ სექციებში აჰყავთ. ასე მაგალითად, შარშანდელი შეხვედრების შედეგად 120 ჭაბუკი ჩაირიცხა სპორტის სხვადასხვა სახეობათა სექციებში.

„დინამოს" სტადიონზე ყოველ ზაფხულს ეწყობა „ტყავის ბურთის" რაიონულ პირველობებში გამარჯვებულთა საქალაქო ზანაკი. ბავშვები აქვე იკვებებიან, სტადიონის მუშებს ეხმარებიან სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებაში. არც ხანდაზმულ ადამიანთა ჯანმრთელობაა დავიწყებული. მათთვის 4 ჯგუფია გახსნილი, სადაც ძირითადად 70 წელს გადაცილებულნი მეცადინეობენ.

პარტიული ორგანიზაციის (მდივანი ა. სამხარაძე) ბირთვს შეადგენენ კომუნისტები თ. ყიფიანი — „დინამოს" სტადიონის დირექტორი, ი. კინწურაშვილი — ადგილკომის თავმჯდომარე, გ. მინჯია — დაცვის უფროსი, ვ. ქიტინიოვი — სანტექნიკოსი, გ. ხვედელიძე — აგრონომი, ა. კაზაჩკოვა — სახალხო კონტროლის ჯგუფის უფროსი. მათ შორის პარტორგანიზაციის ბიუროს წევრებიც არიან, რომელთაც სამუშაო გეგმებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები შეაქვთ და პრაქტიკულადაც მათი განხორციელებისთვის ზრუნავენ.

უ. ჭიჭინაძე.

ეხმაურებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილს

წესრიგი ყველგან და ყველაფერში!

იმ ამოცანათა შორის, რომლებიც ხაზგასმულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეათე წლისთავთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ყოველგვარი ნეგატიურის მიმართ შეურიგებელი ბრძოლის გაძლიერება, მართლწესრიგისა და დისციპლინის დარგში მომთხოვნელობის ამაღლება.

ამასთან დაკავშირებით უნდა გამოვთქვა აზრი, რომელიც კარგა ხანია მაწუხებს. იგი ეხება ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე, კერძოდ სტადიონებზე მტკიცე დისციპლინის საკითხს. დასამალი როდია, რომ მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ვერა და ვერ დავამყარეთ სრული წესრიგი ჩვენს სტადიონებზე, განსაკუთრებით II ლიგის გუნდებისა და საქართველოს პირველობის მატჩების დროს. ამ მხრივ განსაკუთრებით „გამოირჩევიან" წალკის, აგარის, ბოგდანოვკის, გალის, გეგეჭკორის და სხვა სტადიონები, სადაც მოთამაშეთა მუშტი-კრივი და მაყურებელთა ხულიგნური გამოხდომები, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათ მოვლენად იქცა. ამ რაიონებში, როგორც ჩანს, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სპორტსმენთა შორის იდეურ-აღმზრდელობით მუშაობას, რომ არაფერი ვთქვათ მაყურებლებთან მუშაობაზე.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია და, ვფიქრობ, უკვე საკმარისი არ არის საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სანქციები — ჩხუბისთვის ფეხბურთელების დისკვალიფიკაცია. წესრიგის დამყარება ჩვენს სტადიონებზე დიდმნიშვნელოვანი საქმეა და აქ თავიანთი სიტყვა უნდა თქვას რაიონების ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა, კომკავშირულმა აქტივმა.

ჩვენს სტადიონზე სპორტულ ღონისძიებათა ჩატარებისას ნამდვილი საზეიმო განწყობა უნდა იგრძნობოდეს. აქ მოსულმა მშრომელმა კულტურულად უნდა დაისვენოს, რათა უკეთესი განწყობით, ხალისიანად იშრომოს ზვრებსა და პლანტაციებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში.

ნ. ცაგარეიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს სპორტულ-ტექნიკური კომისიის თავმჯდომარე.

● ფეხბურთი

„ლეგია"— თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოფრინდა ვარშავის „ლეგიას" ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც სათავეში უდგას მწვრთნელი კ. გურსკი.

პოლონელ სტუმრებს თბილისის აეროპორტში გულთბილად შეხვდნენ საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მუშაკები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

საღამოს პოლონელმა ფეხბურთელებმა მსუბუქი წვრთნა ჩაატარეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე.

გვიხმობს მშობლიური მთა-ბარი

ტურისტული
გვერდი
№2 (43)

ვეტერანთა სიმხნევის წყარო

ცნობილია, რომ ტურიზმი კეთილმყოფელ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, მის გუნება-განწყობაზე, უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის ასაკში შესულ ადამიანზე, რომელიც ნაკლებადაა დატვირთული ფიზიკურად, ამიტომ ქუთაისის ტურისტულ კლუბ „ოქროს ჩარდახთან" შარშან გაზაფხულზე საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბდა ომისა და შრომის ვეტერანთა ქვეითი ტურიზმის საქალაქო სექცია.

თავიდანვე დიდი იყო ინტერესი სექციისადმი, რომელშიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გაერთიანდნენ. შედგა სამუშაო გეგმა, რომელიც აქტიური დასვენების ბევრ საინტერესო ღონისძიებას მოიცავდა. შემუშავდა ტურისტული ლაშქრობების დიფერენცირებული სქემები.

ომისა და შრომის ვეტერანებმა წარმატებით განახორციელეს ტურისტული ლაშქრობები მარშრუტებით: ქუთაისი — მოწამეთა — გელათი, ქუთაისი — ბაგრატის ტაძარი — თეთრამიწა — სათაფლია, „ოქროს ჩარდახი" — მუხნარის აგარაკი, ქუთაისი — შაორისველი და სხვ. გარდა ამისა, გეგმა ითვალისწინებდა „ოქროს ჩარდახში" სხვადასხვა საღამოების (ლიტერატურის, მუსიკის, იუმორის და ა. შ.) მოწყობას. ახლახან გამართულ ერთ ასეთ საღამოზე, რომელიც მუსიკით მკურნალობის საკითხებს მიეძღვნა, მოხსენებით გამოვიდა ამ სტრიქონების ავტორი. კლუბის წევრებმა მოისმინეს დაავადებათა კომპლექსური მკურნალობისთვის რეკომენდებული მუსიკალური ნაწარმოებები (შემსრულებელი მუსიკოს-პედაგოგი ი. ერგემლიძე).

ომისა და შრომის ვეტერანთა ქვეითი ტურიზმის სექციის წევრთა რიცხვი თანდათან მატულობს. გაიზარდა ინტერესი იმ ღონისძიებების მიმართ, რომელთაც წლევანდელი სამუშაო გეგმა ითვალისწინებს.

ჩვენი სექციის მუშაობის თუნდაც ხანმოკლე გამოცდილება საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ რწმენა, რომ მსგავსი სექციების ჩამოყალიბება საწარმო-დაწესებულებებთან და უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან ხელს შეუწყობს მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟებას, მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას, შრომისუნარიანობის ამაღლებას და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებას. გვინდა გავიხსენოთ გამოჩენილი ფრანგი ექიმის ტისოს სიტყვები: „მოძრაობას შეუძლია თავისი მოქმედებით ნებისმიერი წამალი შეცვალოს, მაგრამ მსოფლიოში არსებული ყველა წამალი, ერთად აღებული, მოძრაობით მიღებულ სარგებლობას ვერ შეცვლის".

ვ. გიორგაძე,

ქუთაისის ტურისტულ კლუბ „ოქროს ჩარდახთან" არსებული ომისა და შრომის ვეტერანთა ქვეითი ტურიზმის საქალაქო სექციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, თადარიგის პოლკოვნიკი.

გამარჯვებული კლუბები

თვითმოქმედი, სპორტული და მასობრივი ტურიზმის საორგანიზაციო-მეთოდურ ცენტრებად საქალაქო და რაიონული ტურისტული კლუბები ითვლებიან, რომლებმაც ამ ბოლო დროს შესამჩნევად გამოაცოცხლეს მუშაობა, რაც დაადასტურა ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოსა და გაზეთ „ლელოს" რედაქციის მიერ შარშან გამოცხადებულმა ერთობლივმა კონკურსმა სამი საუკეთესო ტურისტული კლუბის გამოსავლენად. ამ კონკურსის შედეგები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 61-ე წლისთავზე შეჯამდა.

კონკურსში გაიმარჯვეს თბილისის (დირექტორი პ. კუპატაძე), ქუთაისის (გამგეობის თავმჯდომარე გ. ყალაბეგიშვილი, უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. კენპაძე) და ბათუმის (გამგეობის თავმჯდომარე გ. ზამბახიძე) ტურისტულმა კლუბებმა.

შარშან ამ კლუბებში მომზადდა ტურისტულ ორგანიზატორთა, სექციების ხელმძღვანელთა, დასვენების დღის ტურისტული ლაშქრობის ხელმძღვანელთა, ტურიზმის ინსტრუქტორთა და მსაჯთა მრავალრიცხოვანი არმია. ამ აქტივისტებზე დაყრდნობით შეიქმნა ახალი სექციები, გამოცოცხლდა არსებული სექციების და ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობა, ჩატარდა მრავალი მასობრივი ღონისძიება, მოგვარდა მშთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსანი სპორტსმენების მომზადების საორგანიზაციო და მეთოდური მხარე.

სულ უფრო მასობრივი და მრავალფეროვანი ხდება თბილისის ტურისტული კლუბისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილების ერთობლივი, ტრადიციული ტურისტული შეკრება-შეჯიბრება, მიძღვნილი გამარჯვების დღისადმი. ფართო პოპულარობა მოიპოვა ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ინიციატივით დამკვიდრებულმა ქუთაისელ, თერჯოლელ და ტყიბულელ ტურისტთა ერთობლივმა შეკრება-შეჯიბრებამ, რომელსაც შარშან ზესტაფონელი ტურისტებიც შეუერთდნენ და მასპინძლობაც კი გაუწიეს შეკრება-შეჯიბრებას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ შეკრება-შეჯიბრების მომზადება-ჩატარებაში ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ ქუთაისის, ტყიბულის, თერჯოლისა და ზესტაფონის პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

ქუთაისშივე ტრადიციული გახდა ქალაქის ტურისტთა საშემოდგომო მასობრივი შეკრება-შეჯიბრება რესპუბლიკის უხუცესი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის სახელობის თასზე. ამავე კლუბის ინიციატივით აღდგა ქალაქის მშრომელთა მასობრივი დასვენების ტრადიციული ფორმა — „ორმაისობა", რომელიც მუხნარის ტყეში იმართება, თერჯოლის რაიონის და ყაზახეთის სსრ ატბასარის რაიონის მშრომელთა დელეგაციების ურთიერთგაცვლა და მათ შორის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება.

სასახელოა ბათუმის ტურისტული კლუბის მაჩვენებლებიც. აქ დიდი ყურადღება ეთმობოდა ტურიზმში მშთ ნორმატივების ჩაბარებას. შემუშავებულია ერთ, ორ და მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობების საეტალონო მარშრუტები. შედგენილია და სტამბური წესით იბეჭდება ამ მარშრუტების აღწერილობა, დამტკიცებულია ლაშქრობათა ჩატარების კალენდარი და მორიგე ინსტრუქტორთა შემადგენლობის პერსონალური სიები.

კარგად მუშაობს თბილისის ტურისტული კლუბის სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისია. შარშან ჩატარდა პირველი კატეგორიის სირთულის 20-მდე ლაშქრობა.

გასულ სეზონში ჩვენი რესპუბლიკის სამთო ტურისტებმა პირველად ჩაატარეს ურთულესი კატეგორიის ლაშქრობა ტიანშანისა და საიანის მთებში. ექვსკაციან ჯგუფს სპორტის ოსტატობის კანდიდატი ვ. სატალკინი ხელმძღვანელობდა.

უანგაროდ, სიყვარულით ემსახურებიან მასობრივი ტურიზმის განვითარების საქმეს აქტივისტები: თბილისელები — მეცნიერებათა კანდიდატები **ნ. ვიახირევი, ლ. ზაქტრეგერი, ვ. სარიჩევი,** ქუთაისელები — ფოტოკორესპონდენტი **ბ. მაღლაფერიძე,** ექიმი **ვ. გიორგაძე,** საქართველოს სახალხო არტისტი **შ. პირველი** და მრავალი სხვა.

ამჟამად კლუბებში გაცხოველებული მზადებაა ახალი ტურისტული სეზონისთვის. ზუსტდება მომავალ ლაშქრობათა მარშრუტები, წესრიგში მოგვყავს საჭურველი. მალე ტურიზმის მოყვარულები მიაშურებენ თავიანთ საყვარელ თავშესაყრელ ადგილებს — ტურისტულ კლუბებს.

ო. ბოგოხიძე,

ტურიზმისა და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ტურისტულ დაწესებულებათა და მარშრუტების განყოფილების გამგე, ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

• • •

სურათებზე: ქუთაისელი ტურისტები ხვამლის ფერდობზე; თბილისელი ტურისტების შეკრება-შეჯიბრების მომენტები სოფელ გუდრუხში (ზევით).

ხ. კიშიბაძისა და ა. გურახაშვილის ფოტოები.

ჯერი თქვენზეა

ყინული დაიძრა, ვწერდით ამას წინათ „ლელოში" 6 თებერვალს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ხელმძღვანელთა მიერ ჩატარებული ერთი კარგი ღონისძიების, კერძოდ, მასობრივი ტურისტული ლაშქრობის შესახებ, რომელშიც წინასწარ ჩატარებული სათანადო საორგანიზაციო მუშაობის შედეგად რაიონის სამასამდე მშრომელი მონაწილეობდა.

იგივე გამეორდა 14 თებერვალსაც — ვერეს ლამაზ ხეობას ისევ გაუყვა რაიონის მშრომელთა დიდი ჯგუფი, რომელიც მეტად ნასიამოვნები დაბრუნდა უკან, ხოლო 7 მარტს უკვე 400-მდე ახალგაზრდა ეწვია კუს ტბის მიდამოებს.

მაშინ ნაფეტვრების მთაზე ასულ ტურისტებს ვუთხარი, რომ დადგა ტურისტულ ცხოვრებაში რაიონის მშრომელთა ჩაბმის მეორე ეტაპი. ამჯერად გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო როგორც ორჯონიკიძის, ისე რესპუბლიკის სხვა რაიონების წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს — ის, რაც გაკეთდა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ინიციატივით, იყო ტურისტულ მოძრაობაში მშრომელთა ჩაბმის აუცილებელი პირველი ეტაპი. მაგრამ წარმოუდგენელია ტურისტულ ლაშქრობას ყოველთვის რაიკომი ჩაუდგეს სათავეში.

ის სამი მასობრივი ლაშქრობა ტურიზმის ერთგვარი პროპაგანდა იყო და ბევრმა ირწმუნა ფეხით სიარულის სიკეთე. ახლა უკვე ცალკეულ წარმოება-დაწესებულებებში პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების თაოსნობით უნდა შეიქმნას ადგილობრივი ტურისტული ჯგუფები, რომლებსაც გამოცდილი ადამიანები ჩაუდგებიან სათავეში. სხვაგვარად წარმოუდგენელია: 300 და 500 კაცის ერთად სალაშქროდ გასვლა კარგია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ დიდ ჯგუფში შეუძლებელია ადამიანთა შორის სასიამოვნო მიკროკლიმატის შექმნა, ძნელია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება, 10-15-კაციან ჯგუფში კი ყველაფერი ეს ადვილად მოხერხდება.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი, ტურისტული კლუბები და მათთან ერთად გაზეთი „ლელო" მზად არიან მეთოდური თუ სხვა სახის დახმარება აღმოუჩინონ ახლადშექმნილ ტურისტულ ჯგუფებს.

ახლა ჯერი თქვენზეა, მეგობრებო! კარგად დაწყებულ საქმეს კარგი გაგრძელება უნდა!

ა. ციბაძე.

● ●

სურათზე: ვერეს ხეობაში ლაშქრობის მონაწილეთა ერთი ჯგუფი.

ქ. ხალუქაძის ფოტო.

● სსრ კავშირის თასზე

„ტავრია"— ჩვენი მეტოქე

გასულ კვირას, 14 მარტს, გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მერვედფინალის 6 მატჩი.

ტაშკენტის „ფახთაქორმა" და ბაქოს „ნეფთჩიმ" ტაშკენტში ითამაშეს ფრედ — 1:1, შემდეგ დაინიშნა დამატებითი პენალტები, სადაც უფრო ზუსტნი მასპინძლები იყვნენ — 4:3. სიმფეროპოლის „ტავრიამ" თავის მინდორზე დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხა ერევნის „არარატი" — 2:1.

მერვედფინალის სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტორპედო" (მოსკოვი) — „დაუგავა" (რიგა) 1:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „დინამო" (მინსკი) 1:5, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „კუბანი" (კრასნოდარი) 1:0.

გუშინ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილისყრა.

თბილისის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ სიმფეროპოლის „ტავრიას"

მეოთხედფინალის სხვა წყვილები ასეთია:

„ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ტორპედო" (მოსკოვი)

„ფაკელი" (ვორონეჟი) —„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

„დინამო" (კიევი) — „დინამო" (მინსკი)

ყველა ეს შეხვედრა ჩატარდება 21 მარტს პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

„ლეგიას" ამბები

14 მარტს ვარშავაში შედგა პოლონეთის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ გუნდებს —„ლეგიასა" და „გვარდიას" შორის. ფრე —0:0.

„ლეგიას" მწვრთნელმა ქ. გურსკიმ გამოაცხადა ფეხბურთელთა სია, რომლებიც თბილისში იასპარეზებენ ადგილობრივ „დინამოსთან" ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში: კაზიმირსკი, კოვალსკი, ტოპოლსკი, იანასი, ზალენჯნი, მილევსკი, მილოშევიჩი, მაევსკი, ბარანი, ივანიცკი, ადამჩიკი, კუსტო, სიკორსკი, სობჩინსკი, კაკეტეკი, კვაპიში, ტუმინსკი, შანიავსკი.

გაიცანით ფინალისტები

ესპანეთი

წმინდა „საფეხბურთო ქვეყნებს" შორის საპატიო ადგილი უკავია ესპანეთს, თუმცა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ ამბავს — ესპანეთს ასეთი ავტორიტეტი შეუქმნა არა ეროვნულმა ნაკრებმა, არამედ სახელგანთქმულმა კლუბებმა „რეალმა" (მადრიდი) და „ბარსელონამ". თუ ევროპის 1964 წლის თასის გათამაშებაში გამარჯვებას არ ჩავთვლით (ეს ევროპის ჩემპიონობას უდრის), სხვა მნიშვნელოვანი მიღწევა ესპანეთის ნაკრებს არა ჰქონია. მსოფლიო ჩემპიონატებზე ესპანელებს საერთოდ არ აქვთ დიდი წარმატება. ამის მიუხედავად მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატებზე მასპინძლებს არასოდეს შეურცხვენიათ თავი და ამიტომ ესპანელებსაც ახლა ფავორიტთა შორის იხსენიებენ. ასეთი განცხადებები გუნდის საკმაოდ უფერული შედეგების გამო კარგა ხანს უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა მთავარ მწვრთნელს ხოსე ემილიო სანტამარიას, თუმცა თვით ისიც არ გამორიცხავს ესპანეთის ნაკრების მომავალი წარმატების შესაძლებლობას.

ხ. სანტამარია კარგად ცნობილი პიროვნებაა ფეხბურთის სამყაროში, იგი 52 წლისაა, ოდესღაც ურუგვაის განთქმულ კლუბ „ნასიონალის" ცენტრალური მცველი იყო, ამ ქვეყნის ნაკრებში 35 მატჩი ჩაატარა, მონაწილეობდა მსოფლიოს 1954 წლის ჩემპიონატში. 1956 წლიდან გადავიდა მადრიდის „რეალში" და ესპანეთის მოქალაქეობაც მიიღო. სამჯერ მოიპოვა „რეალთან" ერთად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრებში თამაშობდა. 1967 წლიდან ჯერ „რეალის" ახალგაზრდულ შემადგენლობას წვრთნიდა, შემდეგ სათავეში ჩაუდგა „ესპანიოლს" (ბარსელონა). ამ გუნდის წარმატებასთან დაკავშირებით იგი დანიშნეს ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად. კუბალას გადადგომის შემდეგ სანტამარია უკვე ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგა სათავეში.

1980 წელს ესპანელებმა ნაკრების დონეზე ითამაშეს 11-ჯერ, 1981 წელს — 13-ჯერ. მწვრთნელმა უამრავი ფეხბურთელი გამოსცადა და აცხადებს, რომ ჯერაც სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. სანტამარია შეეცადა გუნდის გაახალგაზრდავებას და ბევრი ახალი მოთამაშე დააწინაურა.

გადავხედოთ ესპანელთა მიერ შარშან ჩატარებული მატჩების შედეგებს: მათ სძლიეს ფრანგებს — 1:0, ლონდონში ინგლისელებს — 2:1, მძიმე მარცხი განიცადეს შინ უნგრელებთან — 0:3, შემდეგ პორტოში წააგეს პორტუგალიელებთან — 0:2. ივნის-ივლისში ნაკრებმა ტურნე გამართა სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, მოუგო მექსიკელებს — 3:1, ვენესუელის გუნდს — 2:0, ფრედ — 1:1 ითამაშა ჯერ კოლუმბიელებთან, შემდეგ კი ჩილიელებთან და ბოლო მატჩში ანგარიშით 0:1 დამარცხდა ბრაზილიელებთან. შემოდგომაზე მათ ვენაში ფრედ (0:0) ითამაშეს ავსტრიელებთან, შემდეგ კი სძლიეს ლუქსემბურგელებს — 3:0 და ბელგიელებს — 2:0.

ესპანური და საერთაშორისო ფეხბურთის ვარსკვლავად ითვლება ბასკი მეკარე არკონადა (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი", 36 მატჩი ნაკრებში). მაღალი, მძლავრი, მეტად სწრაფი მეკარე თანაბარი ოსტატობით თამაშობს როგორც კარის ხაზზე, ისე წინ გამოსვლისას. იმის გამო, რომ არკონადა უცვლელად გამოდის ნაკრებში, მის შემცვლელ ურუთიკოეჩეას („ბარსელონა") ფაქტიურად არ მისცემია თავის გამოჩენის საშუალება.

სანტამარიამ სავსებით შეცვალა დაცვის ხაზი. ახლა აქ გამოდიან კამაჩო (მადრიდის „რეალი", 26 მატჩი), ტენდილო („ვალენსია", 17 მატჩი), ალესანკო („ბარსელონა", 26 მატჩი), გორდილო (სევილიის „ბეტისი", 26 მატჩი), ეს ჩინებული ოსტატებია, მაგრამ განსაკუთრებით აქებენ კამაჩოს — 1978 წლის აღმოჩენას, რომელიც იმ დროიდან მოყოლებული ნაკრებში უცვლელად გამოდის. მარცხენა მცველი გორდილო ძალიან აგრესიულია, სისტემატურად მიდის წინ და გოლებიც ხშირად გააქვს. ნაკრებში ზოგჯერ სხვა მცველებიც გამოდიან, მაგალითად, კელაიეტა (სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადი", 6 მატჩი). იგი მეტად სწრაფი და ბრძოლისუნარიანი ფეხბურთელია. შეიძლება ითქვას, რომ დაცვის საკითხი მწვრთნელს არ ადარდებს. შედარებით უფრო გაურკვეველი მდგომარეობაა შუა ხაზზე და თავდასხმაში.

ნახევარმცველთა შორის გამოირჩევა დაუღალავი ზამორა („რეალ-სოსიედადი", 24 მატჩი), შუა ხაზის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ევროპაში. იგი გასაოცრად ენერგიულია. მოქმედებს მთელ მოედანზე. მეტოქეთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელის ნეიტრალიზებას სწორედ ზამორას მიანდობენ ხოლმე. ნაკრებში ზოგჯერ გამოდის ერთბაშად სამი ნახევარმცველი „ვალენსიადან" — საურა (17 მატჩი) — მეტისმეტად სწრაფი და გულადი მებრძოლი, არიასი (6 მატჩი), რომელიც ოსტატურად ფლობს ბურთს და გოლებიც გააქვს, სოლსონა (6 მატჩი) — გამჭრიახი და შეუპოვარი მოთამაშე. უნდა აღინიშნოს კიდევ ორი ნახევარმცველი — ალონსო („რეალ-სოსიედადი", 14 მატჩი) და ვიქტორი („ბარსელონა", 8 მატჩი).

ამჟამად ასახელებენ ჩემპიონატში მონაწილეობის პრეტენდენტ 10 თავდამსხმელს. აი, ისინიც: ხუანიტო (მადრიდის „რეალი", 30 მატჩი), სანტილიანა (მადრიდის „რეალი", 32 მატჩი), დანი (ბილბაოს „ატლეტიკო", 25 მატჩი), სატრუსტეგი („რეალ-სოსიედადი", 25 მატჩი), ლოპეს უფარტე („რეალ-სოსიედადი", 8 მატჩი), ესტებანი („ბარსელონა", 3 მატჩი), სანჩესი („ბარსელონა", 5 მატჩი), მორანი („ბარსელონა", 5 მატჩი), მარკოსი (მადრიდის „ატლეტიკო", 7 მატჩი), მონტერო („სევილია", 8 მატჩი). ამავე დროს გამორიცხული არ არის „ბარსელონას" ორი ფეხბურთელის — მრავალნაცად ცენტრალურ თავდამსხმელ კინისა და ახალგაზრდა გარემარბ კარასკოს მონაწილეობაც.

23 თებერვალს ესპანელებმა ვალენსიაში მიიღეს შოტლანდიის ნაკრები და გაიმარჯვეს — 3:0. ეს იყო ერთადერთი მატჩი ნაკრები გუნდების დონეზე, ყველა დანარჩენ შეხვედრას ესპანელები საკლუბო გუნდებთან ითამაშებენ.

როცა სანტამარიას ეუბნებიან, რომ საკუთარი მინდორი ესპანელებს დიდ უპირატესობას აძლევს, მწვრთნელი მიუთითებს საკითხის მეორე მხარეზეც — ნაკრებისგან ტემპერამენტიანი გულშემატკივრები მოელიან მხოლოდ ჩემპიონობას, ყოველგვარ სხვა ადგილს კი, პირველის გარდა, მას მარცხად ჩაუთვლიან.

გ. ბამრეკელი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონი, სადაც გაიმართება XII მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი ფეხბურთში. სურათზე ჩანს დროებით გაყვანილი ხიდი, რომელიც სტადიონს აერთებს ჩემპიონატის მთავარ პრეს-ცენტრთან ჟურნალისტთა უკეთ მომსახურებისთვის.

ფინალებში...

ჩვენს წერილში აღნიშნულია, რომ ესპანეთს დიდი ავტორიტეტი აქვს საფეხბურთო სამყაროში, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატებზე ამ გუნდს მნიშვნელოვანი წარმატებები არა ჰქონია.

1930 წლის ჩემპიონატში, რომელიც ურუგვაიში გაიმართა, ესპანელები არ მონაწილეობდნენ.

1934 წელს იტალიაში ესპანელებმა დაამარცხეს ბრაზილიელები — 3:1, მაგრამ შემდეგ ფრედ ითამაშეს იტალიის ნაკრებთან — 1:1 და განმეორებით მატჩში მასთან მარცხი იწვნიეს — 0:1. ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ამ წელს თამაშობდა გამოჩენილი მეკარე ზამორა, აგრეთვე, ცნობილი ბასკი ფეხბურთელები ლ. რეგეირო, ლანგარა, სილაურენი, გოროსტიცა და ირარაგორი, რომლებიც 1937 წელს სსრ კავშირში და საქართველოშიც იმყოფებოდნენ ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად.

1938 წელს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ესპანელები კვლავ არ იყვნენ.

1950 წელს, ბრაზილიაში, ესპანელებმა თავიანთ ჯგუფში დაამარცხეს ამერიკის შეერთებული შტატების (3:1), ჩილის (2:0), ინგლისის (1:0) გუნდები, მერე ჯგუფებში გამარჯვებულთა ტურნირში ფრედ დაამთავრეს მატჩი ურუგვაისთან — 2:2, ხოლო ბრაზილიისა და შვეციის გუნდებთან დამარცხდნენ (შესაბამისად — 1:6 და 1:3). ეს იყო ესპანელთა ერთადერთი წარმატება მსოფლიო ჩემპიონატებში — IV ადგილი.

1954 წელს შვეიცარიაში და **1958** წელს შვეციაში ესპანელები არ გამოდიოდნენ.

1962 წელს ჩილეში გამართულ ფინალურ ტურნირზე ესპანელებმა მოუგეს მექსიკის გუნდს — 1:0, დამარცხდნენ ჩეხოსლოვაკიელებთან — 0:1 და ბრაზილიელებთან — 1:2 და ვერ მოხვდნენ მეოთხედფინალში.

1966 წელს ინგლისში ესპანელებმა მოუგეს შვეიცარიის გუნდს — 2:1 და ასეთივე ანგარიშით წააგეს არგენტინელებთან და გფრ-ის გუნდთან, რის შემდეგ კვლავ დარჩნენ მეოთხედფინალის გარეშე.

1970 წელს მექსიკაში და **1974** წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ესპანელი ფეხბურთელები კვლავ ვერ გავიდნენ ფინალში.

1978 წელს არგენტინაში ესპანელებმა ფრედ ითამაშეს ბრაზილიელებთან — 0:0, წააგეს ავსტრიელებთან — 1:2 და დაამარცხეს შვეციის ნაკრები 1:0. ესპანეთის ნაკრები 3 ქულით მე-3 ადგილზე გავიდა თავის ჯგუფში და ვერ მოხვდა მეოთხედფინალში.

ბრაზილიელები, შოტლანდიელები...

მომავალი საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატისთვის ინტენსიურად ემზადებიან ფინალისტები, მათ შორის სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეებიც.

ბრაზილიაში დიდი ინტერესით ელოდნენ თავიანთი ქვეყნის ნაკრების მატჩს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან . ბრაზილიელთა მწვრთნელს ტ. სანტანას აინტერესებს გამოსცადოს თავისი გუნდის ძალები ევროპული სტილით მოთამაშე გუნდთან. საამისოდ ბრაზილიელები შეხვდნენ ჯერ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს, ახლა კი — ჩეხოსლოვაკიელებს. მწვრთნელის აზრით ეს ახლა № 1 ამოცანაა, ვინაიდან მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის VI ჯგუფში ბრაზილიელთა უმთავრესი მეტოქეები ევროპელები არიან (სსრ კავშირი, შოტლანდია).

წმინდა საფეხბურთო ამოცანების გარდა ამ მატჩში ბრაზილიელ გულშემატკივრებს ერთი „პიკანტური" სიურპრიზიც შესთავაზეს: მათს ცნობილ ფეხბურთელს ჟაირზინიოს ბრაზილიის ნაკრებში უთამაშია 99 ოფიციალურ საერთაშორისო მატჩში. იგი მინდორზე გამოიყვანეს და პირველი 15 წუთი ათამაშეს, რათა ჟაირზინიო მოხვედრილიყო მსოფლიოს იმ გამოჩენილ ფეხბურთელთა სიაში, რომლებსაც ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 100 მატჩი აქვთ ნათამაშევი. ჟაირზინიომ კეთილსინდისიერად ითამაშა იმ 15 წუთის მანძილზე და შევიდა „ასიანთა კლუბში".

ტ. სანტანამ განაცხადა, რომ ნაკრების შემადგენლობა მისთვის ძირითადად გარკვეულია, დასადგენია მხოლოდ ცენტრფორვარდისა და ერთ-ერთი ნახევარმცველის საკითხი. ამას გარდა, ნაკრების საწვრთნელი ორმხრივი მატჩის დროს დაშავდა მცველი ლეანდრო და მის ადგილზე საჭირო გახდა სათადარიგო მოთამაშის მოწვევა. მერე, თვით ამ მატჩში ჩეხოსლოვაკიელებთან, მძიმედ დაშავდა ბრაზილიელთა წამყვანი მოთამაშე ტონინიო სერეზო.

მასპინძლებს ორივე ტაიმში მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდათ, ჩეხოსლოვაკიელები ეპიზოდური კონტრშეტევებით პასუხობდნენ. ბრაზილიელებმა მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს ანგარიშის გახსნა (ზიკო), რის შემდეგ ბერგერმა ძლიერი დარტყმით გაქვითა გოლი—1:1.

სანტანა კმაყოფილი დარჩა თამაშით და განაცხადა: „როცა გუნდს შეუძლია შექმნას ასე ბევრი სახიფათო მომენტი, ეს ნიშნავს, რომ მას თამაში შეუძლია... ოღონდ საჭიროა მეტი სიზუსტე კარის აღებისას". მაგრამ ბრაზილიელი მაყურებლები და მიმომხილველები სწორედ ამით იყვნენ უკმაყოფილონი. მათი აზრით, ტერიტორიული უპირატესობა ბევრს არაფერს ნიშნავს, მთავარი შედეგიანობაა.

ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელმა ი. ვენგლოშმა განაცხადა, რომ მატჩი ბრაზილიელებთან დიდად სასარგებლო იყო მისი გუნდისთვის, განსაკუთრებით — ახალგაზრდებისთვის.

გაგაცნობთ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობას ჩეხოსლოვაკიის გუნდთან შეხვედრაში: პერესი, პერივალდო, ოსკარი, ლუიზინიო, ჟუნიორი, ტონინიო, სერეზო (რენატო), სოკრატესი, ზიკო, ჟაირზინიო (პაულო ისიდორო), რობერტო, მარიო სერჟიო (ედერი).

ტ. სანტანამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ბრაზილიის ნაკრები 21 მარტს რიო-დე-ჟანეიროში მიიღებს ევროპის ჩემპიონს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებს, შემდეგ კი გამართავს შეკრებას მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად.

ყურადღებას იპყრობს შოტლანდიური ფეხბურთის ამბებიც. ამას წინათ გლაზგოში შედგა შოტლანდიის ჩემპიონატის კალენდარული მატჩი „გლაზგო რეინჯერსსა" და „კილმარნოკს" შორის. ერთ-ერთ მომენტში გლაზგოელთა მცველმა სტივენსმა დაუფარავად, უდიერად მოარტყა ფეხი სტუმართა თავდამსხმელს მორისონს და მძიმედ დაასახიჩრა იგი: მორისონს ფეხი მოტყდა. იგი სასწრაფოდ წაიყვანეს საავადმყოფოში, სტივენსი კი მინდვრიდან გააძევეს.

ცნობილია, რომ შოტლანდიაში ძალიან უხეშად თამაშობენ, ეს სტივენსი კი ყოვლად გამოუსწორებელი ხულიგანია: იგი 3 წელია გამოდის „გლაზგო რეინჯერსის" შემადგენლობაში, ამ ხნის მანძილზე 19-ჯერ დაიმსახურა ყვითელი ბარათი და 5-ჯერ გააძევეს მინდვრიდან. ზემოაღნიშნული ინციდენტის შემდეგ კი მას სულ რაღაც 6 თვით მისცეს დისკვალიფიკაცია.

სტივენსის მსგავსნი მრავლად არიან: „სტ. ჯონსტონის" ფეხბურთელი ჯონ პელოზა სისტემატურად უხეშობდა კალენდარულ მატჩებში და მასაც 6 თვით აუკრძალეს ფეხბურთის თამაში.

„ფრთხილად — შოტლანდიელებია!" — ხშირად წერენ ხოლმე იმ ქვეყნების გაზეთები, სადაც შოტლანდიელები ჩადიან სათამაშოდ და ამ გაფრთხილებაში ცილისმწამებლური არაფერია: როცა შოტლანდიელი ფეხბურთელები თამაშობენ, სიფრთხილე მართლაც საჭიროა!

გამოცდილთა მხარდამხარ— ახალგზედები

კრასნოიარსკი. 15 მარტი (ტელეფონით). კვირას აქ გათამაშდა მედლების 5 კომპლექტი. ახალ ჩემპიონთა შორის არიან როგორც გამოცდილი, ისე ახალგაზრდა სპორტსმენები — სამთომოთხილამურე ვ. მაკეევი, ფიგურული სრიალის ოსტატი ა. კონდრაშევა, მოთხილამურე ვ. სახნოვი, ტრამპლინიდან მხტომელი ვ. სავინი და რსფსრ-ის პირველი გუნდის ბიატლონისტები ს. ჟურავლიოვი, ვ. ბელორუსოვი, ვ. ფომიჩევი, ლ. ნოვიკოვი.

24 წლის კემეროვოელმა სამთომოთხილამურემ მაკეევმა სწრაფდაშვებაში ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. 1300-მეტრიანი ტრასის გავლას მან 43,54 მოანდომა.

— მე არცთუ წარმატებით დავიწყე სამთომოთხილამურეთა სასპარტაკიადო ტურნირი, —თქვა მაკეევმა, — სპეციალურ სლალომში მხოლოდ IX ადგილი დავიკავე. რა თქმა უნდა მეწყინა, მაგრამ ფარ-ხმალი არ დამიყრია. სწრაფდაშვებისთვის რომ ვემზადებოდი, გულმოდგინედ შევისწავლე საკმაოდ რთული და სწრაფი ტრასა. ტრასა წარმატებით გაიარეს გამოცდილმა ოსტატებმა — მოსკოველებმა კ. რომანოვსკიმ და ვ. სატაევმა, რომლებმაც შესაბამისად II-III ადგილები დაიკავეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან ახალგაზრდები —ი. კოჩკაროვი (ყაბარდო-ბალყარეთი), ვ. მარკოვი და ა. ზაკიროვი (ორივე — კრასნოიარსკი), ა. საველიევი (მურმანსკის ოლქი). ამ 13-16 წლის სპორტსმენებს მინდა ვუსურვო უფრო ხშირად გამოვიდნენ სტარტზე, არ შეუშინდნენ სიძნელეებს და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სწრაფდაშვებას, რომელიც, ჩემი აზრით, წარმატების გასაღებია სამთოსათხლამურო სპორტში.

კოჩკაროვი სპარტაკიადის ერთ-ერთი გამარჯვებულია სწრაფდაშვებაში უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის, ხოლო ზაკიროვი — საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის.

ტრამპლინიდან სარეკორდო ნახტომის (113 მ) შესრულება დასჭირდა გამარჯვებისთვის 20 წლის ლვოველ ვ. სავინს. სხვათა შორის მისი პირველი ცდაც მშვენიერი იყო (112,5).

50-კილომეტრზე რბოლის ფინიშის შემდეგ ყველაზე დარცხვენილად გამოიყურებოდა... გამარჯვებული, 20 წლის ვლადიმერ სახნოვი (ყაზახეთი). გუშინდელმა იუნიორმა პირველად გაიარა გამოცდა მარათონში და პირველადვე დიდ გამარჯვებას მიაღწია.

— ჩემი აზრით, ახალი ჩემპიონი ძალზე ძლიერი და პერსპექტიული სპორტსმენია, — თქვა წარსულში სპარტაკიადის ჩემპიონმა, ცნობილმა მრბოლელმა ვ. როჩევმა. — მის ბევრ კარგ თვისებასთან ერთად გამოვყოფ მიზანსწრაფულობას.

ჩემპიონმა ძნელი დისტანცია 2:28.56,8-ში დაფარა.

სპარტაკიადის ბოლო სტარტები 16 მარტს გაიმართება, 17-ში კი მოეწყობა ამ შესანიშნავი სპორტული დღესასწაულის საზეიმო დახურვა.

● საქართველოს პირველობა სამბოში

წინ ბარნაულია

გორის სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა სამბოში. სასპარეზოდ გამოვიდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, რუსთავის, თელავის, კასპის, დუშეთის, საგარეჯოსა და ზუგდიდის ორასამდე მოჭიდავე.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა: თბილისი, დუშეთი, თელავი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოუმზადებელი გუნდები მოავლინეს აფხაზეთმა, აჭარამ, სამხრეთ ოსეთმა, ქუთაისმა და საგარეჯომ.

—შეჯიბრების ძირითადი მიზანი იყო რესპუბლიკის ნაკრების დაკომპლექტება, რომელიც მალე ბარნაულში საკავშირო პირველობაზე გაემგზავრება, — გვითხრა საქართველოს სამბისტთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **გ. კახაბრიშვილმა**, — მე და ჩემი კოლეგები ნაკრების კანდიდატთა ძირითადი ნაწილის მომზადების დონით კმაყოფილნი ვართ, თუმცა შეჯიბრებამ ისიც დაგვანახა, რომ რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სამბოს განვითარებას და პერსპექტიულ მოჭიდავეთა გამოვლენას.

ტექნიკური შედეგები:

48 კგ. ა. პოლოსოვი (აფხაზეთი), ბ. გინესაშვილი (თბილისი), ნ. მოსიაშვილი (კასპი), გ. ნამგალაური (რუსთავი).

52 კგ. ს. რის[illegible]თინაშვილი (ორივე — დუშეთი), ვ. მანუჩაროვი, (თბილისი), ვ. გუნია (ქუთაისი).

57 კგ. ბ. ზურაბაშვილი (დუშეთი), შ. ფარჯანაძე (ქუთაისი), გ. გორგაძე (კასპი), ლ. ბასილაშვილი (თბილისი).

62 კგ. გ. გალუსტოვი (საგარეჯო), მ. ბითაძე (გორი), ა. შაბაშვილი, ე. ილურიძე (ორივე—დუშეთი).

68 კგ. კ. არაბული (ახმეტა), ი. ობგაიძე, ჯ. ნანუაშვილი (ორივე — თბილისი), გ. ფოთოლაშვილი (თელავი).

74 კგ. ა. წიკლაური (თბილისი), თ. ჯველაური (თელავი), გ. ბერბერაშვილი (დუშეთი), ი. გობოზოვი (რუსთავი).

82 კგ. გ. ბაბალაშვილი (თელავი), ნ. ბლიაძე (თბილისი), ნ. მამულაშვილი (კასპი), დ. აფციაური (თბილისი).

90 კგ. გ. ხუბულური (გორი), ბ. ბეყოშვილი (რუსთავი), რ. ჩაჩაური (თელავი), ჰ. კანდელაკი (ქუთაისი).

100 კგ. თ. დავითაშვილი, ა. ზაზუნაშვილი, გ. სპანდერაშვილი (ცამივე—თბილისი), ჰ. ჯავახიშვილი (კასპი).

მძიმე წონა. გ. კოხოძე (რუსთავი), რ. ცივაძე (თბილისი), ა. ქელიხაშვილი (დუშეთი), ვ. მამულაშვილი (კასპი).

ი. თევდორაშვილი.
(„ლელოს" კორ.).

● კალათბურთი

ამჯერად ტალინში

მინსკში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩები იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვიან.

ბოლო ორი შეხვედრა აღმავლობით ჩაატარეს თბილისის დინამოელებმა. მათ ჯერ ტალინის „კალევი" დაამარცხეს ანგარიშით 67:66, შემდეგ კი მოუგეს კუიბიშევის „სტროიტელს" —86:78.

ჯერჯერობით ქართველი კალათბურთელები მინსკის რტი-ს შემდეგ მეორე ადგილზე არიან. დასკვნითი ტურის შეხვედრები 23-25 აპრილს ტალინში გაიმართება.

● წყალში ხტომა

„გაზაფხულის მერცხლები"

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი „გაზაფხულის მერცხლები". 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში გაიმარჯვა მინსკელმა ვ. ალეინიკმა (621,06 ქულა), მეორე ადგილზეა სარატოველი ვ. ტრომინი (605,58), მესამეზე — ერევნელი დ. ამბარცუმიანი (604,98).

● მასპინძლობს ბაკურიანი

უკანასკნელი სტარტები

უხვი თოვლი და მზიანი დარებია ბაკურიანში. უამრავი ტურისტი, დამსვენებელი, სპორტსმენი ჩამოდის საქართველოს „თეთრი მარგალიტის" მიდამოებში. განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო სარვამარტო უქმეების პერიოდში. ყურადღებას იპყრობდნენ კოხტა სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ტანწვრილი და მოქნილი ბავშვები, რომლებიც გაბედულად, მოხდენილად დასრიალებდნენ სხვადასხვა სირთულის ტრასებზე: ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობა შეჯიბრებისათვის ემზადებოდა.

ცოტა ხნით ადრე, 28 თებერვალს ბაკურიანში საზეიმოდ აღინიშნა მოთხილამურეთა საკავშირო დღე, რომლის სტარტებში მრავალმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. კრასნოიარსკში მიმდინარე V სპარტაკიადის შეჯიბრებებმა თავისებური გამოხმაურება ჰპოვა ნორჩ სპორტსმენთა შორის, ესენი ხომ ის ყმაწვილები არიან, რომლებმაც ხვალ ესტაფეტა უნდა მიიღონ და თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომ განვითარებაში.

და რომ ეს ასეა, ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა მოსწავლეახალგაზრდობის რესპუბლიკურმა პირველობამ.

შეჯიბრების პირველ დღეს სტარტი მიეცა გიგანტურ სლალომს. მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ გაყოფილნი (1966-67 და 1968-69 წ. წ. დაბადებულნი). პირველ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები გახდნენ — გოგონათა შორის: თამარ რაზმაძე (განათლების სამინისტროსთან არსებული ზამთრის სახეობათა ბავშვთა სპორტული სკოლა), მეორეში — ირმა დიაკონაშვილი (ბორჯომი, „დინამო").

ვაჟთა შორის პირველ ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვა ბორის ჯაფარიძემ, მეორეში — თეზო ჯაფარიძემ (ორივე — მესტია).

შეჯიბრება სწრაფდაშვებაში არ გამართულა. მის ნაცვლად ე. წ. „სწრაფი გიგანტი" გათამაშდა. თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში ჩემპიონები გახდნენ — გოგონათა შორის: ქეთევან დანელია (განათლების სამმართველო) და ირმა დიაკონაშვილი, ვაჟთა შორის გაიმარჯვეს ბ. ჯაფარიძემ და თ. ჯაფარიძემ.

სპეციალური სლალომის ტრასა საკმაოდ რთული იყო (სიგრძე 450 მ., კართა რაოდენობა 54), ამ სახეობაში თავიანთ ასაკობრივ ჯგუფში ჩემპიონები გახდნენ — გოგონათა შორის: ალზირა სატიროვა (ბორჯომი) და ი. დიაკონაშვილი; ვაჟთა შორის: გიორგი გურაბანიძე (განათლების სამმართველო) და მალხაზ უდესიანი (მესტია).

გუნდური პირველობა მოიპოვა განათლების სამინისტროსთან არსებულმა ზამთრის სახეობათა ბავშვთა სპორტულმა სკოლამ, შემდეგ მოდიან: „დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდი (ბორჯომის რაიონი) და მესტიის მოსწავლეთა ნაკრები გუნდი.

გ. ცაავა.

● პადრაკი

უფროსი მწვრთნელი გვიამბობს

ბაკურიანში დამთავრდა ესტონეთისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ოთხწრიანი მატჩი. აი, რა უამბო „ლელოს" კორესპონდენტს ჩვენი რესპუბლიკის გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, დიდოსტატმა **ე. გუფელდმა:**

— კარგა ხანია ვემზადებით III ახალგაზრდული თამაშებისათვის, რომელიც ივლისში ჩატარდება ლენინგრადში. გუნდში უნდა იყოს 5 ჭაბუკი და ორი გოგონა, მაგრამ სავარჯიშო შეჯიბრებებში მეტ ახალგაზრდა მოჭადრაკეს ვათამაშებთ.

თებერვალში ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა ბაქოში გამართულ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ორწრიან მატჩ-ტურნირში. მარტის პირველ დღეებში კი ბაკურიანში შევხვდით ესტონეთის ახალგაზრდულ ნაკრებს. ჩვენს გუნდში გამოდიოდნენ გ. გიორგაძე, გ. თორია, ი. იაელიანი, დ. ჩაჩიბაია, გ. ბაღათუროვი, პ. გაფრინდაშვილი, ი. კუზმინი, კ. პირაევი, მ. გოგიჩაიშვილი, ც. ქასოშვილი, ე. ფახიროვა, ქ. არახამია, თ. მესხი, ი. კურცხალია.

საქართველოს ნაკრებმა ზედიზედ მოიგო პირველი სამი შეხვედრა — 6,5:3,5, 7:3 და 5,5:4,5. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, ამიტომ მეოთხე შეხვედრაში ვათამაშეთ ნაკლებად გამოცდილი ჭაბუკები და გოგონები. ნორჩებს გამოცდილება არ ეყოთ და დამარცხდნენ — 3:7.

შეხვედრებმა ბაკურიანში წარმოაჩინა თითოეული ახალგაზრდა მოჭადრაკის თამაშის ავ-კარგი, რაც მომავალი მუშაობის მიმართულებას გვისახავს. უახლოეს ხანში ქუთაისში სტარტს აიღებს საქართველოს მოჭადრაკეთა ახალგაზრდული ტურნირი, რომელშიც ჩვენი ნაკრების წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას. ისინი გამოვლენ თავიანთი ქალაქებისა და რაიონების გუნდების შემადგენლობაში.

● ფეხბურთი

ზედიზედ— მეორედ

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის სპორტის სასახლის პრიზზე გამარჯვებული თბილისის „ნორჩი დინამოელის" კოლექტივი.

კ. შანიძის ფოტო.

თბილისის სპორტის სასახლეში ამას წინათ გაიმართა ქალაქის სპეციალიზებული სკოლების ნორჩ ფეხბურთელთა (1969 წელს დაბადებულნი) გათამაშება მინი-ფეხბურთში.

მეორე წელია ზედიზედ შეჯიბრებაში იმარჯვებს თბილისის „ნორჩი დინამოელის" კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობენ ნ. ამირეჯიბი და ნ. აკობია.

ტურნირზე კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ზ. ჯორბენაძემ, შ. დავითაშვილმა, მ. კალატოზიშვილმა, დ. ყაველაშვილმა, პ. ჩხეიძემ, მ. აფციაურმა, პ. კაშიამ.

● ცურვა

წლეულს საოცარ წარმატებებს აღწევს მოსკოვის ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი, ლენინგრადელი ვ. სალნიკოვი. ერთი თვის წინათ მან 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 7.52,83. ოთხიოდე დღის წინათ, გდრ-ისა და სსრ კავშირის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრაში, როგორც ვიუწყებოდით, სალნიკოვმა კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ამჯერად 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 3.49,57. სამატჩო შეხვედრის მეორე დღეს კი ოლიმპიურმა ჩემპიონმა 1500 მეტრი 14.56,35-ში გაცურა. ეს შედეგიც მსოფლიო რეკორდია!

მატჩი მოიგეს სტუმრებმა — 189:155, საერთო ანგარიშში კი საბჭოთა სპორტსმენებს მიჰყავთ — 11:10.

● ფიგურული სრიალი

კოპენჰაგენში დამთავრდა ფიგურულ სრიალში მსოფლიო ჩემპიონატი. სპორტულ ცეკვებში ჩემპიონები ზედიზედ მეორედ გახდნენ ინგლისელი სპორტსმენები ჯ. ტორვილი და კ. დინი, „ვერცხლი" და „ბრინჯაო" მოიპოვეს მოსკოველებმა — ნ. ბესტემიანოვამ და ა. ბუკინმა, ი. მოისეევამ და ა. მინენკოვმა. მესამე საბჭოთა დუეტი ო. ვოლოჟინსკაია—ა. სვინინი მეექვსე ადგილზე გავიდა.

ბოლო ოქროს მედალი ქალთა ფიგურულ სრიალში მოიგო ამერიკელმა ე. ზეიეკმა, მეორე ადგილზე გავიდა გდრ-ის სპორტსმენი კ. ვიტი, ხოლო მესამეზე — ევროპის 1982 წლის ჩემპიონი კ. ქრისტოფიჩ — ბინდერი (ავსტრია). საბჭოთა სპორტსმენი ე. ვოდორეზოვა მეხუთე ადგილზეა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 ИНДЕКС 66435 უე 08153